ქვაბამბა (MW)

უსაფრთხო მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუციები

1 ნივთიერების/ნარევის იდენტიფიკაცია

1.1 პროდუქციის იდენტიფიკაცია

პროდუქციის დასახელება: მინაბამბა

1.2 პროდუქციის აღწერა

არაიწვადი მინერალური თბო- და ხმის იზოლაცია ფილების და რულონების სახით. იკავებს მინიმალურ ადგილს შენახვისა და გადაზიდვის დროს, მოსახერხებელია და მარტივია სამონტაჟოდ. მასალა უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის.

1.3 გამოყენების არეალი

- იატაკის ლაგებზე, გადახურვები ნივნივებზე;
- მოდულური კონსტრუქციები, საყოფაცხოვრებო შენობები, კარკასულ კედლები.
- ფასადები

2 საფრთხის იდენტიფიკაცია

ფიზიკური საფრთხე არაკლასიფიცირებადი

ჯანმრთელობის საფთხე არაკლასიფიცირებადი

არ შეიცავს საფთხეს ან მოითხოვს საფრთხის პრევენციულ ზომებს.

3 შემადგენელი ინგრედიენტების იდენტიფიკაცია/ინფორმაცია

„კლასიფიკაციის, ეტიკეტირების და შეფუთვის (CLP) რეგულაცია 2009 (2016-ის შესწორებით)“-ში მითითებულ მასალებს არ შეიცავს.

4 პირველადი სამედიცინო დახმარება

ჩასუნთქვა/ინჰალაცია: მასალის მონტაჟის პროცესში წარმოქმნილი მტვერი შეიძლება ჩავისუნთქოთ. მტვრის ჩასუნთქვას თუ მოაქვს უარყოფითი/არასასურველი ეფექტი, აუცილებელია სუფთა ჰაერზე გასვლა. თუ მაინც არაკომფორტულად გრძნობთ თავს უნდა მიმართოთ სამედიცინო დახმარებას.

კანთან კონტაქტი: თუ მასალის მონტაჟის პროცესში წარმოქმნილმა მტვერმა კონტაქტისას გაგიღიზიანათ კანი, მტვერი ჩამოიბანეთ წყლით.

თვალთან კონტაქტი: თუ მტვრის ნაწილაკები მოგხვდათ თვალში, დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ წყლით. თუ მაინც გაგრძელდა დისკომფორტი მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.

ქვაბამბა (MW)

უსაფრთხო მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუციები

5 ხანძრის საწინააღმდეგო ზომები

მასალა არის არაწვადი

6 შემთხვევით გავრცელების ზომები

მასალა უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის.

7 დამუშავება და შენახვა

a) შენახვის პირობები - პროდუქცია უნდა ინახებოდეს შეფუთულ მდგომარეობაში, დახურულ საწყობებში, განცალკევებით სახეობების, მარკებისა და ზომების მიხედვით. რეკომენდებული შენახვის ტემპერატურა არის -35 °C-დან +40 °C-მდე. რულონები თავსდება ვერტიკალურად, მაქსიმუმ 3 იარუსად. ზედა იარუსი შეიძლება განთავსდეს ჰორიზონტალურად. რულონების დასტის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 4,2 მეტრს. ტრანსპორტირების პაკეტებში პროდუქციის შენახვა დასაშვებია 2 იარუსად, მაქსიმუმ 6 მეტრის სიმაღლეზე. შენახვის დროს დაუშვებელია მზა პროდუქციის შეკუმშვა..

8 ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლები

იერსახე: მინერალური თბო- და ხმის იზოლაცია ფილების სახით.

სუნი: N/A

9 ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

მასალას არ აქვს ტოკსიკოლოგიური ეფექტი; მასალა უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის.

10 ნარჩენების განკარგვის ზომები

ნარჩენების გადამუშავების ნებისმიერი გზა შეიძლება განიხილოთ. მტვრის გავრცელების პრევენციისთვის უნდა მიიღოთ სპეციალური ზომები.